ოქმი N 12

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მე-12 სხდომისა

18 მაისი, 2022 წელი

ფრაქციის სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, მარეხ ნიჟარაძე.

ფრაქციის სხდომას ესწრებოდნენ: ფრაქციის წევრები: მხეიძე დიმიტრი, ბასილაძე გია, ჩიხლაძე მანანა, ლილუაშვილი პაატა, მახარაძე ბაქარ, ბიბილეიშვილი ჯემალ, ჭოხონელიძე მერაბ, სიმონიძე მაია, ხამაშურიძე ბესიკ, ქებულაძე ბექა, ჯუღელი თეა, მამასახლისი ზაქრო, შენგელია ირაკლი, ნადირაძე თეიმურაზ, რიჟამაძე მამუკა, კოპალეიშვილი ამირან, კოსტავა მაგდა.

სულ ესწრებოდა 18 წევრი.

სხდომა გახსნა ფრაქციის თავმჯდომარემ, მარეხ ნიჟარაძემ და წარმოადგინა ფრაქციის მე-12 სხდომის შემდეგი **დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრის, ბაქარ მახარაძის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე განცხადების ცნობად მიღების შესახებ

ბაქარ მახარაძე
ფრაქცია „ქართული ოცნების“
თავმჯდომარის მოადგილე

წარმოდგენილ დღის წესრიგთან დაკავშირებით ფრაქციის წევრთა მიერ, მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ფრაქციის მე-12 სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგით განსაზღვრული განსახილველი საკითხის – **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრის, ბაქარ მახარაძის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე განცხადების ცნობად მიღების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე, ფრაქციის სხდომას, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე, განცხადება წარუდგინა ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრმა, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა ბაქარ მახარაძემ.

(საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის
მოადგილის, ბაქარ მახარაძის განცხადება ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მ.ნიჟარაძე**: „საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და საკრებულოს რეგლამენტის საფუძველზე, საკრებულოს თანამდებობის პირს შეუძლია ნებისმიერ დროს გადადგეს თანამდებობიდან მიზეზის მითითების ან ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. ბატონმა ბაქარმა გააკეთა განცხადება ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე, საკრებულოს ფრაქცია ამ განცხადებას იღებს ცნობად. კანონის თანახმად, ფრაქციაში განხორციელებული ცვლილება დაუყოვნებლივ ეცნობება საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას. აღნიშნულ საკითხს საკრებულო იღებს ცნობად.“

ამის შემდეგ, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, გაიმართა ღია კენჭისყრა.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. მიღებულ იქნეს ცნობად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრის, ბაქარ მახარაძის განცხადება საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე.

მუხლი 2. დაუყოვნებლივ ეცნობოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრის, ბაქარ მახარაძის განცხადების შესახებ საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე.

ამით, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების მე-12 სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“
თავმჯდომარე მარეხ ნიჟარაძე